უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№1 2011

რექტორის სვეტი

„უნივერსიტეტი“ დღეიდან ყოველთვიურად, „კვირის პალიტრასთან“ ერთად შემოვა თქვენს სახლებში. ჩვენ უფრო ახლოს გვსურს ვიყოთ. გვსურს მეტი გაიგოთ თსუ-ს დღევანდელობაზე და თქვენთან ერთად გადავწყვიტოთ, თუ როგორი უნდა იყოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხვალ.

გვ. 3

თსუ-ის სპორტული ღირსების დასაცავად...

9 ოქრო, 13 ვერცხლი, 9 ბრინჯაო, სულ 31 ჯილდო გუნდურ და ინდივიდუალურ პირველობებში – ასეთია 2011 წლის ივნისისთვის “უნივერსიადა 2011”–ში თსუ-ელების მონაგარი.

გვ. 4

ღია კარი ევროპაში

გასულ თვეში თსუ-ის პარტნიორ უნივერსიტეტებს ახალი – ნახევარი საუკუნის ისტორიის მქონე ლეიდენის უნივერსიტეტი შეემატა.

გვ. 2

„გორდელა“ 4 წლისაა

ყველაზე „მომღერალი“ ფაკულტეტი ეკონომისტების აღმოჩნდა. „გორდელაში“ ერთბაშად 4 ეკონომისტი მღერის.

გვ. 4

პირველი არჩევანი

ივნისი ლექციების დასრულების თვეა. წინ გამოცდებია, ოფიციალური გამოშვება და დიდი პროფესიული ცხოვრება. ცხოვრება, რომლისთვისაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს 90 წელზე მეტია ამზადებს. 17 ივნისს გამოსაშვები საღამო “ჰუმანიტარებს” ჰქონდათ – მხიარული და სევდიანი, ისე, როგორც ყველა ასეთი დღე. სულ მალე თსუ-ის კედლებს დატოვებენ, თუმცა უნივერსიტეტელებად სამუდამოდ დარჩებიან

თსუ წელს კვლავ ახალწვეულებს ელოდება – ასეთივე მხიარულებსა და მომავლის რწმენით აღსავსეთ. ერთიანი ეროვნული გამოცდების განაცხადების შედეგებმა უკვე აჩვენა, რომ თსუ აბიტურიენტთა უმრავლესობისთვის პირველი არჩევანია. 10 940 აბიტურიენტისთვის უნივერსიტეტელის სახელის ფლობა დღეს მთავარი სურვილია. ისინი თსუ-ის 4280 სტუდენტის ადგილის მოპოვებას შეეცდებიან.

წლევანდელი წელი თსუ-ისთვისაც გამორჩეულია. ტრადიციულად ძალზე პოპულარული ფაკულტეტების გვერდით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მოთხოვნა ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო დარგებზე. წელს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობა შარშანდელთან შედარებით გაორმაგებულია. თუმცა აბიტურიენტთა მოთხოვნას სრულად ესეც ვერ აკმაყოფილებს. მათემატიკის, კომპიუტერიული მეცნიერების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის ფაკულტეტის 800 ადგილის მოპოვებას თავისი პირველი არჩევნით 1671, სულ კი 4029 აბიტურიენტი შეეცდება.

წელს განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნაა ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე: ფილოსოფია, ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, კულტურის მეცნიერებები თავის პირველ არჩევნად 2188 აბიტურიენტმა დაასახელა. ისინი ამ ფაკულტეტის 750 ადგილის მოპოვებას შეეცდებიან; ტრადიციულად მაღალი კონკურსია ეკონომიკის სპეციალობაზე (1121 პირველი არჩევანი – 270 ადგილზე); გეოგრაფია, სოციოლოგია, ფსიქოლოგიის და პოლიტიკური მეცნიერებების სპეციალობებზე (1742 პირველი არჩევანი – 480 ადგილზე); საერთაშორისო ურთიერთობებზე (413 პირველი არჩევანი – 80 ადგილზე); სამართალმცოდნეობაზე (1609 პირველი არჩევანი – 700 ადგილზე) და ასე შემდეგ. ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე სულ ერთი თვეა დარჩენილი. ბოლო წლების გამოცდილება გვაჩვენებს, რომ თსუ-ის სტუდენტობას მხოლოდ ყველაზე წარმატებულები აღწევენ.

ლიდერი კვლევითი ცენტრი საქართველოში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წლების მანძილზე ინარჩუნებდა საქართველოში არა მხოლოდ მთავარი სასწავლო, არამედ – კვლევითი უნივერსიტეტის სტატუსსაც. ტრადიციული სამეცნიერო კავშირების მოშლა, დაფინანსების არარსებობა, გაზრდილი კონკურენცია როგორც ადგილობრივ, ისე – საერთაშორისო სამეცნიერო ბაზარზე, კომერციალიზაციისთვის ფეხის აწყობის აუცილებლობა, სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის განახლების აუცილებლობა – ეს გახლდათ იმ წინაღობების ნაწილი, რომელთა გადალახვაც თსუ-ის მეცნიერებს, ისევე, როგორც ზოგადად ქართულ მეცნიერებას, უკანასკნელ ოცწლეულში მოუხდათ. ბოლო წლების სტატისტიკა ცხადყოფს, რომ თსუ-მ ეს წარმატებით მოახერხა. დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში კვლავ ლიდერი კვლევითი ცენტრია.

ინსტიტუციის სამეცნიერო პროდუქტიულობის შესაფასებლად თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ღვედაშვილი რამდენიმე ფაქტორს გვთავაზობს: გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში; ციტირების რაოდენობა; ლოკალური და საერ-

გაგრძელება მე-2გვ.

რატომ უნივერსიტეტი?!

ისინი უნივერსიტეტელები არიან. თსუ-ში სწავლობდნენ, თსუ-ელებს ასწავლიან. სცადო ყველა ღირსეული უნივერსიტეტელის აზრის გაგება, გადაუჭრელი ამოცანაა. ამიგომ არც გვაქვს ასეთი პრეტენზია. უბრალოდ გვსურს დავიწყოთ მსჯელობა იმაზე, თუ რატომ უნდა ასწავლო უნივერსიტეტში? რატომ უნდა ისწავლო? როგორია თსუ-ის აწმყო? როგორია მისი მომავალი? ამ დიალოგში ყოველთვიურად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, შტატიანი თუ მოწვეული ლექტორები, მეცნიერები, სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას. ეს მხოლოდ დასაწყისია.

მარიამ ლორთქიფანიძე – ისტორიკოსი

1948 წლიდან მოღვაწეობს თსუ-ში. 1964 წელს გახდა თსუ-ის პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. არის სახელმძღვანელობის ავტორი, რედაქტორი. კითხულობდა ლექციებს საქართველოში, რუსეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, აშშ-ში, პოლონეთში.

თვლის, რომ უნივერსიტეტი მისი პირველი სახლია.

“1939 წელს შემოვდგი პირველად ფეხი ამ კედლებში და დღემდე აქ ვარ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი ქართული უნივერსიტეტია, რომელიც შეიქმნა და დამკვიდრდა იმ პრინციპებით, რომელიც ჩამოაყალიბა ივანე ჯავახიშვილმა. ეს უნივერსიტეტი არასოდეს ყოფილა ჩაკეტილი ქართულ ნაჭუჭში. უნივერსიტეტის შექმნის მიზანი იყო, რომ ყველაფერი ყოფილიყო ქართული და ქართულ ენაზე, მაგრამ ამავდროულად მას ჰქონდა უმჭიდროესი ურთიერთობა მსოფლიო კულტურასთან.

ჩემს ბავშვობაში უნივერსიტეტის პირდაპირ დიდი მინდორი იყო. მამაჩემს ხშირად მოვყავდით მე და ჩემი ძმა სათამაშოდ. როდესაც უნივერსიტეტს მოვუახლოვდებოდით, მამაჩემს თუ ქუდი ეხურა, მოიხდიდა. თუ არადა - თავს მდაბლად ხრიდა. ეს იყო მისი დამოკიდებულება და პატივისცემა ჩვენი უნივერსიტეტისადმი. დღესაც, ტაქსის მძღოლს რომ ვეუბნები, უნივერსიტეტთან მიმიყვანე, არ სჭირდება დაკონკრეტება.

თუმცა, ბევრი ცუდიც მოხდა უნივერსიტეტში. ბევრი კარგი კადრი აიძულეს წასულიყო აქედან. როდესაც კონკურსი გამოცხადდა, მეც არ მივიღე გამოცდაში მონაწილეობა, მაგრამ შემდეგ მომიწვიეს და დიდი სიამოვნებით დავთანხმდი ლექციების წაკითხვას.”

ზაალ კოკაია - ბიოლოგი

დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტი - სპეციალობით “ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგია.” ლუნდის უნივერსიტეტში მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის წოდება. საქართველო-

გაგრძელება მე-2-3გვ.

ლიდერი კვლევითი ცენტრი საქართველოში

პირველი გვერდიდან

თაშორისო კონფერენციების მასპინძლობა და მონაწილეობა და, რა თქმა უნდა – მოპოვებული სამეცნიერო გრანტების რაოდენობა, რომელიც სამეცნიერო ცხოვრებას უნივერსიტეტში დამატებით სტიმულს აძლევს.

სტატისტიკა გვამცნობს, რომ თსუ-ში ამჟამად 200-ზე მეტი სამეცნიერო პროექტი ხორციელდება. მათ შორის – 148 ეროვნული, 85 – საერთაშორისო. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სამეცნიერო კვლევებზე 14 მილიონ ლარზე მეტია გათვალისწინებული, საერთო ბიუჯეტის 29 პროცენტი. 2010 წელს თსუ-ში 63 სადოქტორო ნაშრომია დაცული; 2009 წელს კი, ტომსონის ბაზის მონაცემებით, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში თსუ-დან 105 სტატია გამოქვეყნდა.

როგორც გიორგი ღვედაშვილი ამბობს, ყველაზე მეტი ეროვნული და საერთაშორისო გრანტი დღეისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე მოდის, თუმცა იზრდება გრანტების რაოდენობაც და ფართოვდება მათი სფეროც.

საქართველოს სამეცნიერო გრანტების ზოგადი სტატისტიკა თსუ-ს დიდ უპირატესობაზე მეტყველებს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინსტიტუციებთან მიმართებაში.

თსუ-დან ეროვნული ფონდებში წარდგენილი პროექტების რაოდენობიდან 2006 წელს 12 პროცენტი დაფინანსდა, 2007 წელს – 16 პროცენტი, 2008 წელს – 21 პროცენტი, 2009 წელს კი – 22 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ 2009 წელს ეროვნული ფონდებიდან მიღებული სამეცნიერო გრანტების რაოდენობით თსუ ლიდერობს. პირველი სამეული ასე გამოიყურება: თსუ – 29 გრანტი, ილიაუნი – 11 გრანტი, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი – 8 გრანტი. ამასთან, პირველ ათეულში ის ინსტიტუტებიც შედიან, რომლებიც 2011 წლიდან უკვე თსუ-ში გაერთიანდნენ, რამაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალი კიდევ უფრო გააძლიერა.

ამაზე 2011 წელს წარდგენილი გრანტების რაოდენობაც მოწმობს:

თუ 2009 წელს თსუ-დან ქართულ სამეცნიერო ფონდებში 104 სამეცნიერო პროექტი იყო წარდგენილი, 2011 წლისთვის მათი რაოდენობა 312-ს შეადგენს. ასეთი ზრდის ხელშემწყობი გახლდათ თსუ-ს გადაწყვეტილება ფინანსების მაქსიმალური აკუმულირების და პროექტების თანადაფინანსების შესახებ – თუ გრანტი სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერას მოიპოვებს, თსუ მზადაა მას 15 პროცენტიანი თანადაფინანსება გამოუყოს.

ამასთან, საინტერესოა, რომ 2009 წელს ტექნიკური მახასიათებლების არასრულყოფილების გამო თსუ-დან წარდგენილი პროექტების 2 პროცენტი მოიხსნა პირველ ეტაპზე, 2011 წელს ამ მაჩვენებელმა სულ 0,6 პროცენტი შეადგინა.

წარმატებები თსუ-ს მკვლევარებს უკვე 2011 წელსაც აქვთ. უკრაინის სამეცნიერო ტექნოლოგიური ცენტრისა და საქართველოს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივ კონკურსში თსუ-ს მიერ წარდგენილი 13 პროექტიდან პირველი ეტაპი წარმატებით დასძლია 10-მა

თსუ-დან წარდგენილი პროექტების დინამიკა წლების მიხედვით



ეროვნული ფონდების მიერ 2009 წლისთვის დაფინანსებული პროექტების განაწილება ინსტიტუტების მიხედვით





პროექტმა. 5 გასული პროექტით მეორე ადგილზეა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, მესამე ადგილს კი 2-2 გასული პროექტით – სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ცენტრი და გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი ინაწილებენ.

თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელს ამ გაუმჯობესების საკუთარი ახსნა აქვს: დროსთან ერთად მეცნიერებმა გრანტების წერის მეტი პრაქტიკა შეიძინეს. ამასთან, თსუ-ს მკვლევარებს საშუალება აქვთ პროექტს პირველადი ტექნიკური შემოწმება თავად თსუ-ს ფარგლებში – აღნიშნულ დეპარტამენტში გაიარონ და შესწორებებიც შეიტანონ.

ხშირად ქართულ სამეცნიერო სკოლასა და მათ შორის უნივერსიტეტს, რომელიც სამეცნიერო კვლევების ავანგარდში იდგა, იმას საყვედურობდნენ, რომ ფუნდამენტალური კვლევების რაოდენობა ბევრად აჭარბებდა გამოყენებით კვლევებს. გიორგი ღვედაშვილი იხსენებს, რომ საბჭოთა მეცნიერების მთავარი დაკვეთა სწორედ ასეთი იყო. გამოყენებითი კვლევები როგორც წესი სამხედრო თემატიკასთან დაკავშირებით ტარდებოდა და, ძირითადად საიდუმლოდ. თსუ-ს მეცნიერებმა ამ ტრადიციის დაძლევა თანდათან დაიწყეს, რაშიც წელს სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლიტიკაც დაეხმარებათ: წელს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა პირველად გამოაცხადა ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებზე კონკურსი ცალ-ცალკე. 2011 წლის სტატისტიკა გვამცნობს, რომ ფუნდამენტური კვლევებზე წარდგენილი რიცხვი კვლავ ჭარბობს. თუმცა გარკვეული გარდატეხაც არის: თსუ-დან სულ წარდგენილი 312 გრანტიდან 30 პროცენტამდე, (90 პროექტი – 17 მილიონამდე ლარის ღირებულებით), სწორედ გამოყენებით კვლევებზე მოდის.

კიდევ ერთი საინტერესო სიახლეს თსუ ახალგაზრდა მეცნიერებისთვის ამზადებს: უახლოეს მომავალში ახალგაზრდა მკვლევარებისთვის დამატებითი ხელშეწყობის მექანიზმები ამოქმედდება: ახალგაზრდა მეცნიერები, ნაკლები გამოცდილების გამო, შესაძლოა, პირველ ეტაპზე სამეცნიერო ფონდების კონკურსებში ნაკლებად კონკურენტული აღმოჩნდნენ. ამიტომ თსუ-ში გეგმავენ ახალგაზრდული სამეცნიერო პროექტების დასაფინანსებლად ცალკე ბიუჯეტი გამოიყოს. ეს ახალგაზრდებს კვლევების დაწყების საშუალებას მისცემს და კვლევით ბაზარზე უფრო კონკურენტუნარიანადაც აქცევს.

ღია კარი ევროპაში

უკვე კარგა ხანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ–მასწავლებლებისთვის ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებში განათლების კარი ღიაა. გასულ თვეში პარტნიორ უნივერსიტეტებს ახალი – ნახევარი საუკუნის ისტორიის მქონე ლეიდენის უნივერსიტეტი შეემატა.

ლეიდენის უნივერსიტეტი ჰოლანდიის უძველესი უმაღლესი სასწავლებელია. იგი 1575 წელს დაარსდა და უკვე ოთხი ასეული წელია სწავლებისა და საერთაშორისო კვლევების გამოცდილებას აგროვებს. უნივერსიტეტის სახელთან სპინოზასა და დეკარტის სახელებია დაკავშირებული. ლეიდენი დღეისათვის სტუდენტებს 50–ზე მეტ საბაკალავრო და ასამდე სამაგისტრო პროგრამას სთავაზობს. დიდი არჩევანია დოქტორის ხარისხის მაძიებელთათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2011 წლის მაისიდან ამ უნივერსიტეტის ექსკლუზიური პარტნიორი ხდება საქართველოში. ლეიდენის წარმომადგენლებს საქართველოს წარსულიც აინტერესებთ და დღევანდელობაც. ისტორიის შესწავლას თსუ–სთან არქეოლოგიის სფეროში თანამშრომლობის გააქტიურებით გეგმავენ. თანამედროვე საქართველოს გაცნობას საკუთარ უნივერსიტეტში ქართველოლოგიური კათედრის შექმნით, ქართული ენის კურსებისა და თსუ–დან მივლენილი ახალგაზრდა პროფესორის მეშვეობით აპირებენ.

ქართველი სტუდენტებისთვის ორი სახის სტიპენდიაა გათვალისწინებული. თსუ–ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის თეა გერგედავას თქმით, განსაკუთრებით გამორჩეული და ნიჭიერი სტუდენტი სტიპენდიის სახით 23 000 ევროს მიიღებს, მეორე სტიპენდია კი 13 000 ევროს ოდენობისაა. სტიპენდია იმ ქართველ მაგისტრებზე გაიცემა, ვინც ჰუმანიტარული სწავლებით დაინტერესდება.

თსუ-ს სტუდენტთა არჩევანი მხოლოდ ლეიდენის უნივერსიტეტით არ შემოიფარგლება. თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დღესითვის მსოფლიოს მასშტაბით 300 პარტნიორი უმაღლესი სასწავლებელი ჰყავს. მათ ნაწილთან სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო კვლევების კუთხით თანამშრომლობს, სხვებთან ამავდროულად გაცვლითი პროგრამებიც აქვს.

2011 წლისათვის გაცვლითი პროგრამით უკვე განსაზღვრული ქვოტები ასეთია:

ინგლისურენოვანი პროგრამით, ვილნიუსის უნივერსიტეტში – 10, ტარტუს უნივერსიტეტში 6, ლატვიის და ვარშავის უნივერსიტეტებში 3–3, ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტში – 1 სტუდენტი იგზავნება – როგორც სამაგისტრო, ისე საბაკალავრო პროგრამით. 3–3 სტუდენტი იგზავნება ბრატისლავისა და ათათურქის სახელობის უნივერსიტეტების საბაფხულო სკოლებში.

სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამით გერმანიაში, ზაარლანდის უნივერსიტეტში 7 სტუდენტი, 4 პროფესორი და 4 დოქტორანტი გაემგზავრებიან, ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში – 2-4 სტუდენტი და 5 პროფესორი, პოსტდამის უნივერსიტეტში – 1-2 ბაკალავრი, გისენის იუსტუს–ლიბეგის უნივერსიტეტში 1 ბაკალავრი.

თსუ–ს პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლებიდან ყველა ავტორიტეტული და მნიშვნელოვანია, თანაც არა მხოლოდ თავისი ქვეყნის მასშტაბით. უფრო დეტალურად რამდენიმე მათგანზე:

კიოლნის უნივერსიტეტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კიოლნის უნივერსიტეტს შორის 2007 წლიდან ხორციელდება საერთო სამაგისტრო პროგრამა. უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ქართველ კურსდამთავრებულებს, ორსემესტრიანი სწავლების შედეგად, სამაგისტრო ნაშრომის და გამოცდების წარმატებით ჩააბარების შემდგომ, Master of Laws“ (LL. M.) – ის აკადემიურ ხარისხი ენიჭებათ. სტუდენტებს, რომლებიც ჩაირიცხებიან კიოლნის სამაგისტრო პროგრამაში და თსუ–ს ქართულ სამაგისტრო პროგრამაში, სურვილისამებრ შეუძლიათ გაიარონ მხოლოდ ერთი სამაგისტრო პროგრამა, რომლის კრედიტებიც მეორე პროგრამის ფარგლებში იქნება აღიარებული. ამდენად, სწავლის დამთავრების შემდგომ ამ სტუდენტებს ერთდროულად ქართული მაგისტრატურისა და კიოლნის უნივერსიტეტის დიპლომი ექნებათ.

ქ.შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი

საერთო სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა“ ხორციელდება ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გერმანიის ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტს შორის. მაგისტრატურის პროგრამული მიმართულება სამართალი და ეკონომიკაა. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ადმინისტრაციულ მეცნიერებათა მაგისტრი (Master of Administrative Sciences).

სამაგისტრო პროგრამის მიზანი მომავალი საჯარო მოხელეების მომზადებაა. პროგრამაზე სამართლის, ეკონომიკის, ისტორიისა და სოციოლოგიის მიმართულებების კურსდამთავრებულები მიიღებიან. წელს ერთი თვის განმავლობაში 12 ქართველი სტუდენტი ინტენსიურ პრაქტიკას გერმანიაში სხვადასხვა სოლიდურ ორგანიზაციაში გადის. ამის შემდგომ სტუდენტები შპაიერის უნივერსიტეტთან არსებულ საბაფხულო სკოლაში გაატარებენ 2 კვირას, სადაც მათ კიდევ 6 ქართველი სტუდენტი შეუერთდება.

იენა, შილერის სახელობის უნივერისიტეტში

თსუ-მ მიღება გამოაცხადა კიდევ ერთ ახალ სამაგისტრო პროგრამაზე ორმაგი ხარისხით. ეკონომიკის ფაკულტეტს წელს ბიზნეს ადმინისტრაციის მიმართულების 15 სტუდენტის მიღება შეუძლია. სწავლება ორწლიანია.

ამ პროგრამით სტუდენტი ერთი წელი საქართველოში, თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტზე ისწავლის. მეორე წელს უკვე გერმანიაში, ქალაქ იენაში, შილერის სახელობის უნივერისიტეტში გაატარებს. სწავლის საფასური ერთი სემესტრის განმავლობაში 1500 ევრო. გერმანიაში სწავლება ინგლისურ ენაზეა. გერმანულის ცოდნა სავალდებულო არ არის, თუმცა სასურველია. სწავლების შემდგენელი ნაწილია 1-2 თვიანი პრაქტიკა, რომელსაც ადგილზე შილერის სახელობის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს.

რატომ უნივერსიტეტი?!

პირველი გვერდიდან

ში მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 2008 წლიდან არის თსუ-ს, ხოლო 2009 წლიდან კაგლიარის უნივერსიტეტის (სარდინია, იტალია) მოწვეული პროფესორი. 2010 წლიდან ხელმძღვანელობს შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული ღეროვანი უჯრედების და უჯრედული თერაპიის სტრატეგიულ კვლევით დარგს; 2011 წლიდან არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 7 ევროპული სამეცნიერო კვლევითი კონსორციუმის კოორდინატორი და ლუნდის ღეროვანი უჯერედების ცენტრის დირექტორი. რეგულარულად ჩამოდის საქართველოში და კითხულობს მოხსენებებს და ლექციებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

„უნივერსიტეტში მაქვს გატარებული ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები, აქ მაქვს მიღებული ის ცოდნა, რომელიც შემდგომში საფუძველი გახდა ჩემი შვედეთში მოღვაწეობის.

ჩემთვის უნივერსიტეტი წარმოადგენს დაწესებულებას, სადაც ამზადებენ არა მარტო სპეციალისტს, არამედ უნივერსალურად მოაზროვნე ადამიანს.

ჩემი ერთ-ერთი კურსი სწავლების თანამდეროვე მეთოდებს შეეხდება. დოქტორანტებს ვასწავლი სამედიცინო განათლების მიღების ერთ-ერთ ფორმას – როგორ უნდა წარიმართოს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. სამწუხაროდ, დღესდღეობით უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლების ეს ფორმა არ არის დანერგილი, მაგრამ ჩვენ ვამზადებთ საფუძვლებს იმისათვის, რომ ახალი მეთოდი შემოტანილი იქნას საქართველოში, კერძოდ, სამედიცინო განათლების სისტემაში. ერთი პრობლემაა, რაც ალბათ გასათვალისწინებელია: ტრადიციულად უნივერსიტეტი იყო ლექტორზე ორიენტირებული სასწავლებელი, ანუ ლექტორი ასწავლიდა და სტუდენტი სწავლობდა. დღეს, სწავლება უნდა განვითარდეს ისე, რომ სტუდენტი იყოს წარმმართველი. ლექტორმა და უნივერსიტეტმა უნდა შეუქმნას პირობები და შეუწყოს ხელი სტუდენტს, რომ მან მაქსიმალურად მიიღოს ცოდნა და აქტიურად იყოს ჩართული სწავლების პროცესში. დღევანდელი ქართველი სტუდენტი პოტენციურია, უბრალოდ მას სჭირდება მიდგომა. ხშირად მსმენია: ამ დონის სტუდენტებს, როგორ შეიძლება ასწავლო. ეს არ არის გამართლება. ჩემი აზრით, ნებისმიერ ადამიანს შეიძლება ასწავლო, იმის მიხედვით თუ გაქვს წარმოდგენა, რა არის მისი ცოდნის მარაგი“.

ელიკო იორამაშვილი, სტუდენტი

2009 წელს 100%-იანი გრანტით ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტზე.

პატარაობიდან მიტაცებდა კომპიუტერული მეცნიერებები და მათემატიკა. ამიტომაც გადავწყვიტე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლა. თსუ–ში კი იმიტომ ჩავაბარე, რომ არის დიდი ისტორიის მქონე უნივერსიტეტი, ასწავლიან გამოცდილი პროფესორები და, რაც მთავარია, სწავლა–განათლება ყველაფერზე წინ დგას. სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრი-

რატომ უნივერსიტეტი?!

არქმა კი მას ცოდნის თეთრი ტაძარი უწოდა... თანაც, ევროპის ბევრ ქვეყანაში შევძლებ სწავლის გაგრძელებას. ჩემთვის მნიშვნელოვანია ამ ფაკულტეტზე სწავლა, რადგან ინოვაციური დარგია, ყოველდღიურად ვითარდება და არ მინდა სიახლეებს ჩამოვრჩე.

რისმაგ გორდეზიანი – ფილოლოგი

არის თსუ-ს პროფესორი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეკისტიკის ინსტიტუტის დირექტორი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები, პუბლიკაციები. არის 12 წიგნის ავტორი. მონაწილეობდა არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმსა და სამეცნიერო საგრანტო პროექტში. იცის ინგლისური, გერმანული, რუსული, იტალიური, ძველბერძნული, ლათინური ენები.

„უნივერსიტეტი თავის დროზე მართლაც იყო თეთრი ტაძარი და ჰქონდა საოცრად დიდი ავტორიტეტი. თსუ დღესაც, პრაქტიკულად, ერთადერთი კლასიკური უნივერსიტეტია საქართველოში. ეს არის ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი, სადაც შეიძლება ისწავლებოდეს ბევრი ისეთი დისციპლინა, რომელიც დღეს, ქართული ბაზრიდან გამომდინარე, არ არის აქტუალური, მაგრამ აქტუალურია იმისათვის, რომ უნივერსიტეტი უნივერსიტეტობდეს. სწორედ ასე გაიაზრეს უნივერსიტეტი მისმა დამაარსებებლებმა და, უპირველეს ყოვლისა ივანე ჯავახიშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ქვეყანაში ბევრ სფეროში ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, მათ შორის უმაღლეს სასწავლებელში მიღების წესთან დაკავშირებითაც. გვაქვს ერთი ძალიან დიდი მინუსი - გაურკვეველია, რა არის ქვეყანაში უმაღლესი განათლების პოლიტიკა? ბოლო დროს ძალიან დიდი ძალისხმევა ხმარდება ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის სწავლებას. რატომ დადგა ამის საჭიროება? სწორედ იმიტომ, რომ თავის დროზე, კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, ჩაკვდა ამ დარგების სწავლება. დანგრევა ადვილია, შენება კი გაცილებით რთული. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად არაერთი გაკილვისა, რომელიც უკანასკანელ წლებში სხვადასხვა წრეებიდან გაისმოდა, უნივერსიტეტი დღემდე თავისი უნივერსალობის ფუნქციას ინარჩუნებს“.

კოსტანტინე კუბლაშვილი – იურისტი

1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თსუ–ში ლექციებს კითხულობს 1997 წლიდან. სამეცნიერო ხარისხი მიიღო ჰანოვერის უნივერსიტეტში (გერმანია). 2005 წლის 23 თებერვლიდან დღემდე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა. არის არაერთი სამეცნიერო შრომის, პუბლიკაციის, ასევე სახელმძღვანელოს ავტორი. ფლობს გერმანულ, რუსულ ენებს კარგად, საუბრობს ინგლისურ და ესპანურ ენებზე.

„უნივერსიტეტი, პირველ რიგში, არის ძალიან დიდი ტრადიცია, რომელიც ასოცირდება მაღალ კვალიფიკაციასთან. თავის დროზე ჩემთვის უნივერსიტეტის არჩევანი განაპირობა იმან, რომ მაშინ იურიდიული ფაკულტეტი მხოლოდ ამ სასწავლებელში იყო. თუმცა დღესაც, დიდი კონკურენციის პირობებში, მე, როგორც ლექტორი, იმიტომაც ვირჩევ უნივერსიტეტს, რომ ახალი თაობის უნივერსიტეტელები, სხვა სასწავლებლების სტუდენტებისგან აშკარად გამორჩეულები არიან. პირველ რიგში კარგია, როდესაც წარმატებულ სტუდენტებთან გიწევს ურთიერთობა, მეორე - თსუ–ს ტრადიცია და ისტორია მოწიწების გრძნობას გიჩენს და მთავარი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში პირველია, იგი ივანე ჯავახიშვილის მიერ არის დაარსებული და ამიტომ, ყველაფერი უნდა გააკეთო, რომ ეს სასწავლებელი ყველასგან გამორჩეული იყოს. უნივერსიტეტში სასამართლო სისტემიდან წარმომადგენელი მხოლოდ მე არ ვარ. ძალიან ბევრი მოსამართლე ასწავლის აქ. ეს ძალიან კარგია. რადგან ცოდნის მიღების ყველაზე საუკეთესო მეთოდია, როდესაც პრაქტიკა და თეორია ერთად მიეწოდება სტუდენტს“.

თემურ პაპასქირი – ისტორიკოსი

2006 წლიდან მუშაობს თსუ-ში, 2009 წლიდან სრული პროფესორია. არის 40 შრომის, 4 მონოგრაფიის და ერთი სახელმძღვანელოს ავტორი. იცის რუსული, ინგლისური, ფრანგული ენები. არის საველევიზიო ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ აქტიური წევრი და არაერთგზის გამარჯვებული.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი ქართული უნივერსიტეტია და ამით უკვე ბევრი რამეა ნათქვამი. შეიძლება ითქვას, ეს არის ბრენდი. 2006 წელს დავბრუნდი აშშ-დან, სადაც ორი წლის განმავლობაში ვასწავლიდი ამერიკულ უნივერსიტეტში. მქონდა ამერიკაში დარჩნის შანსი, მაგრამ მინდოდა ჩემი ცოდნა ჩემს ქვეყანაში გამომეყენებინა. მიუხედავად იმ კატაკლიზმებისა, რაც ბოლო პერიოდში უნივერსიტეტში მოხდა, ეს სასწავლებელი ჰუმანიტარულ დარგებში წამყვან უნივერსიტეტად დარჩა. ამას აღასტურებს სტუდენტების არჩევანიც. მართალია, ყოველ წელს უნივერსიტეტში მოხვედრის მსურველთა მაღალი მაჩვენებელია, მაგრამ წელს უნიკალური შემთხვევაა – ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე იმდენი განაცხადია შემოტანილი, რაც ყველა დანარჩენ ინსტიტუტში ერთად“.

გიორგი ხელაშვილი – საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტი

საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის ასისტენტ-პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის კვლევითი პროგრამების ხელმძღვანელი. დაამთავრა თსუ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით. ოქსფორდის უნივერსიტეტში დაიცვა საერთაშორისო ურთიერთობებში ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხი. ახლა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას ასრულებს. თსუ-ში 1999 წლიდან ასწავლის.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის უდიდესი ნაწილი კომუნისტების მმართველობას დაემთხვა. ამიტომ, უნივერსიტეტს მოუწია შეესრულებინა ეროვნული თვითშეგნების დამცველისა და საღი საზოგადოებრივი აზრის დამამკვიდრებლის ფუნქციები, რომლებსაც ის დღემდე ინარჩუნებს.

უნივერსიტეტში სწავლაც და სწავლებაც ერთნაირად ძნელი, მაგრამ სასურველი და საამაყოა. ჩემი აზრით, უნივერსიტეტის გარდა, საქართველოში სხვაგან არსადაა შესაძლებელი საზოგადოებრივი საკითხების უკეთ წვდომა, აჩქარების, იდეური მიკერძოებისა და პრაქტიკული ზედაპირულობის გარეშე.

ჩემთვის, როგორც მეცნიერისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო ნააზრევში წვლილის შეტანის საკითხი.

უნივერსიტეტმა ბოლო წლებში ორი ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანის შეჯერება და, შეიძლება ითქვას, ერთმანეთთან შერიგება შეძლო. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში დასაქმების პრობლემას უკეთ და უკეთ წყვეტენ. და ეს არ ხდება მათი განათლების პრაქტიკულ ჩვევებამდე დაყვანისა და აზროვნების შეზღუდვის ხარჯზე“.

მარინა ჩიტაშვილი – ფსიქოლოგი

1990 წლის სექტემბრიდან დღემდე მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1995 წლიდან არის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. არის 70-ზე მეტი ნაშრომის და ორი წიგნის ავტორი, ფულბრაიტის სტიპენდიანტი; მუშაობდა ლუნდის, მიუნხენის, სვონსის, სტენფორდის და კემბრიჯის უნივერსიტეტებში. ლექციებს კითხულობდა საბერძნეთში, ახალ ზელანდიაში, პოლონეთში, გერმანიაში, აშშ-ში.

„ბავშვობაში უნივერსიტეტთან რომ ჩავივლიდით, ბებია მეუბნებოდა - შვილო, დაიმახსოვრე, აქ ყველაზე ჭკვიანი ხალხი მუშაობს და უბედნიერესი ადამიანი იქნები, თუ მათთან ერთად იმუშავებ. ეს იყო ჩემთვის უნივერსიტეტი და არასოდეს დამიშვია გამეკეთებინა არჩევანი სხვა სასწავლებელზე. ჩემთვის უნივერსიტეტი არის ადგილი, სადაც ვცდილობ ვასწავლო მომავალ თაობას ის, რაც მე ვიცი, იმ იმედით,

რომ მათ უფრო მეტი ეცოდინებათ.

უნივერსიტეტში ახალგაზრდამ უნდა ისწავლო ბევრი მიზეზის გამო. ეს არის უნივერსიტეტი, რომელმაც დამოუკიდებელობის მიღების შემდეგ გაუძლო ძალიან მძიმე და რთულ პერიოდს. დახმარების და ხელშეწყობის გარეშე მან შეძლო შეენარჩუნებინა სწავლებისა და კვლევის ხარისხი. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რის გამოც უნივერსიტეტში თანამედროვე სტანდარტების უკეთ დანერგვა არ ხდება, არის ნაკლები ავტონომიურობა. დღევანდელი თავისუფალი განვითარების სივრცეში, როდესაც ვსაუბრობთ ბიზნესზე და მეწარმეობაზე, განათლების სისტემა რჩება ყველაზე უფრო ცენტრალიზებულ და აფსურდამდე მისულ რეგულირებად პროფესიად. ეს არის ხელოვნურად შექმნილი ბარიერები, რომელიც ნამდვილად არ უწყობს ხელს უნივერსიტეტის, როგორც თავისუფალი აზროვნების სივრცის ინსტიტუციას, სადაც შეიძლება ახალი, თავისუფალი ადამიანი გაიზარდოს. არადა, ამის პოტენციალი უნივერსიტეტში ნამდვილად არის“.

რექტორის სვეტი

„უნივერსიტეტი“ დღეიდან ყოველთვიურად, „კვირის პალიტრასთან“ ერთად შემოვა თქვენს სახლებში. ჩვენ უფრო ახლოს გვსურს ვიყოთ. გვსურს მეტი გაიგოთ თსუ-ს დღევანდელობაზე და თქვენთან ერთად გადავწყვიტოთ, თუ როგორი უნდა იყოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხვალ.

იყო პირველი უნივერსიტეტი საქართველოში და კავკასიაში, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. ამ პასუხისმგებლობას, დიდ ტრადიციასთან ერთად, თან ახლავს იმის შეგრძნება, რომ არ გაქვს უფლება გაჩერდე; დაწიო მაღალი თამასა, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში დააწესეს უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა;

ტრადიციასთან ერთად, უნივერსიტეტის მთავარი ღირებულება არიან ადამიანები, რომლებიც მის ისტორიას აგრძელებენ და უნივერსიტეტის თანამედროვე სახეს ქმნიან. სტუდენტზე, ლექტორზე, მეცნიერზე ორიენტაცია არის ჩვენი წარმატების მთავარი გასაღები.

უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია ჰქონდეს ტრადიციასთან ერთად – მოდერნიზაცია; გამოცდილებასთან ერთად – სწავლების თანამედროვე მეთოდები; ისტორიასთან ერთად – ნათლად გამოკვეთილი და გააზრებული პერსპექტივა.

ჩვენი მთავარი გამოწვევაა – თსუ–მ ბოლომდე უპასუხოს თანამედროვე განათლების სტანდარტებს; უნივერსიტეტის უღიღეს ავტორიტეტებთან ერთად გზა მისცეს ახალგაზრდა მეცნიერებს; გაზარდოს სტუდენტი, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება როგორც პროფესიულ, ისე – სამეცნიერო სფეროში.

ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ თსუ-ს მეცნიერისთვის, მასწავლებლისთვის, სტუდენტისთვის მისაწვდომი იყოს განათლების დასავლური ცენტრები; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კი ღია იყოს სტუდენტებისა და მეცნიერებისთვის მთელი მსოფლიოდან, ვინც დაინტერესებულია საქართველოთი, ან სურს განათლება სწორედ ჩვენს ქვეყანაში მიიღოს. სწორედ ამისკენაა მოწოდებული ჩვენი საერთაშორისო პროექტები.

ჩვენ წელს 14 სამეცნიერო ინსტიტუტი შემოგვიერთდა. ამან კიდევ უფრო გააძლიერა თსუ-ში სამეცნიერო კვლევა, რომელიც ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის.

სწავლასა და კვლევასთან ერთად, თსუ ყოველთვის იდგა და დღესაც ცდილობს იყოს ახალგაზრდული, სპორტული, კულტურული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდში.

თსუ-ს მთავარი პრიორიტეტი კი კვლავ საზოგადოების მაჯისცემის შეგრძნება და თანამედროვე საზოგადოებრივ მოთხოვნებზე პასუხის გაცემაა. სწორედ ამას ემსახურება ჩვენი ახალი პროექტიც - საგაზეთო ჩანართი „უნივერსიტეტი“. იგი თქვენ საშუალებას მოგცემთ გაიგოთ რითი ცხოვრობს და სუნთქავს უნივერსიტეტი, როგორ უვლის და უფრთხილდება ტრადიციას, ვინ და როგორ ქმნის მის მომავალს. თქვენი აზრი ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ამბები

უფასო საზაფხულო სკოლა მე-11 კლასელებისთვის

თსუ-ის უფასო საზაფხულო სკოლაში 20 ივნისიდან 5 ივლისამდე გაგრძელდება მე-11 კლასელებისთვის ცოდნის შემოწმება. თბილისში ტესტირება გაიმართება ყოველდღე 10.00 საათზე თსუ-ის II კორპუსში, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (212); რუსთავში კი ტაშკენტის ქუჩა 6 (ყოფილი ბაგა–ბაღის შენობა).

ტესტირების პარალელურად აბიტურიენტები კონსულტაციას გაივლიან თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებთან.

თსუ-ის საზაფხულო სამეცნიერო აკადემია სკოლის მოსწავლეებისათვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სკოლის მოსწავლეებისთვის მუშაობა დაიწყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საზაფხულო სამეცნიერო აკადემიამ. გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციასთან ერთად საზაფხულო სამეცნიერო აკადემია წელს ქიმიის საერთაშორისო წელს აღნიშნავს. აკადემიის ყველაზე აქტიური მოსწავლეები თსუ-ის საზაფხულო სამეცნიერო აკადემიის დიპლომებითა და სერტიფიკატებით დაჯილდოვდებიან.

„ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვის დღე

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში 17 ივნისს «ვეფხისტყაოსნის» საჯარო კითხვის დღე გაიმართა. ღონისძიება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეიდიდთ წელს მეცხრედ ჩატარდა. საჯარო კითხვის დღეს ყველა მსურველს საშუალება აქვს შოთა რუსთაველის პოემა ხმამაღლა წაიკითხოს. „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვის ტრადიციას საფუძველი მწერალმა დათო ტურაშვილმა და პარლამენტარმა ნუგზარ წიკლაურმა ცხრა წლის წინ ჩაუყარეს. იდეის განხორციელებისკენ დათო ტურაშვილს ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში სერვანტესის სახალხო კითხვის დღის აღნიშვნამ უბიძგა.

კონკურსი „მისია 2011“-ის მეორე ტური ბორჯომში

სტუდენტური კონკურსი „მისია 2011”-ის მეორე ტური ბორჯომში გაიმართა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „IDS ბორჯომი საქართველო”-ს ერთობლივი პროექტის მიზანია სტუდენტების კრეატიული და ანალიტიკური შესაძლებლობების გამოვლენა. კონკურსი აპრილში დაიწყო და მასში თსუ ბაკალავრიატის III-IV კურსის და მაგისტრატურის სტუდენტებით დაკომპლექტებული ჯგუფები მონაწილეობენ. გამარჯვებულები ივნისის ბოლოს გამოვლინდებიან. მათ ფულადი პრემიები და თსუ-ის სპეციალური პრიზები გადაეცემათ.

ბიზნესოლიმპიადის ფინალი

«თსუ ბიზნესოლიმპიადა 2011»-ის ფინალი და გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა. პროექტი «ახალგაზრდა ეკონომისტთა კლუბის» ორგანიზებით და სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით ჩატარდა. “თსუ ბიზნეს-ოლიმპიადა 2011”-ის მიზნი იყო სტუდენტების ჩართვა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის კვლევაში, ამ გზით,მათი ცოდნის დონის ამაღლება, ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა და წახალისება. სულ ოლიმპიადაში მონაწილეობა 30 გუნდმა მიიღო.

პოლონური ფილმის პრემიერა

ცნობილი პოლონელი კინოდოკუმენტალისტების დოროტა პეტრუსის და ბოგდარ ლეჩნარის ფილმის «სახლი» პრემიერა გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პრემიერას ფილმის რეჟისორები და გადამღები ჯგუფის წევრები დაესწრნენ. დოკუმენტური ფილმი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს განვითარებულ მოვლენებს ასახავს, სადაც ნაჩვენებია მოქალაქეების თვალით დანახული ომი.

„ქამელეონი“ დასრულდა

დასრულდა თსუ სტუდენტური თვითმმართველობის სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის პროექტი «ქამელეონი». პროექტის დახურვის ცერემონია თსუ-ში გაიმართა. ღონისძიებას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე დაესწრო. “ქამელეონის” გამარჯვებულები თსუ იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტები არიან: ქეთევან მესხიშვილი, მარიამ მგელაძე და ეკატერინე მამარდაშვილი.

„გორდელა“ 4 წლისაა

„ლერწამისა ხესაო, ქორი მოჯდა წვერსაო. აქ ჩამოდი ჩვენსაო, ქალი მიქნევს ხელსაო“ - სიმღერით ჩამოდიან უნივერისტეტის მერვე კორპუსის კიბეებზე შავმაისურიანი გოგონები. რეპეტიცია ახლახან დაამთავრეს. რატომღაც მაინც ემღერებათ. ეს დღე გამონაკლისი არაა, თითქმის ყოველი რეპეტიციის შემდეგ ასეა.

„წინწყარო“, „ქალაუ შავთვალავ“, „მოხევის ქალო თინაო“, “ჩემო ლამაზო სამშობლო“, „დილაო ავდრიანაო“... რეპერტუარში სულ მცირე 40 სიმღერა აქვთ. ყოველწლიურად ამ ჩამონათვალს კიდევ რამდენიმე ახალი სიმღერა ემატება. ასე იზრდება რეპერტუართან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსირტეტის გოგონათა ანსამბლი „გორდელა“, რომელმაც 2011 წლის 14 ივნისს თავისი მეოთხე დაბადების დღე აღნიშნა.

„გორდელას“ სავიზიტო სიმღერა მაინც „დეკაა“. ამ სიმღერით გაიცნო უნივერსიტეტელმა მსმენელმა და შემდეგ უფრო ფართო აუდიტორიამ თსუ-ის გოგონათა გუნდი. მსმენელი ყველაზე ხშირად გოგონებს ამ სიმღერის შესრულებას სთხოვს. თსუ-ის „გორდელა“ „არტგენის“ უკვე მუდმივი მონაწილეა. 2010 წელს გუნდი კონკურს „სოფლის მაშენებლის“ საპატიო ტიტულის მფლობელი გახდა. 2011 წელს „გორდელა“ „სტუდენტური დღეების“ საუკეთესო ფოლკლორულ გუნდად დასახელდა.

„გორდელას“ ეტიმოლოგიის ერთბაშად ორი ვერსია არსებობს. პირველი უქარქაშო ხმლიდან, გორდადან მოდის. მეორე ვერსიით კი გორდელა თურმე დასავლეთში მრავალხმიან სიმღერას ერქვა. დღეს „გორდელას“ შემადგენლობაში 9 გოგონაა. ასაკი თექვსმეტიდან ოცდახუთ წლამდე. გუნდის „უხუცესი“ წევრი ანა გულედანია.

გოგონები უშუალოდ გუნდის ხელმძღვანელის თამაზ მამალაძის მიერ შეირჩნენ, ძირითადად ვოკალური მონაცემების მიხედვით. გუნდის ხელმძღვანელი სიამაყით ამბობს, რომ ქართულ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა გოგონებმა ძირითადად გუნდში მისვლის შემდეგ ისწავლეს. დღეს გუნდის ყველა წევრი ყველა ინსტრუმენტზე უკრავს. მათ შორის ფანდურზე, ჩონგურზე, დუდუკებზე, დოლზე, გარმონზე, ჭიბონზე (გუდა–სტვირი), სალამურზე, ღარჭემ–სოინარზე (მრავალღერიანი სალამური), ჭუნირზე (ჭიანური) და ა.შ. “გორდელას“ ქორეოგრაფიულ იერზე ცნობილი ქორეოგრაფი თენგიზ ყურაშვილი ზრუნავს. სხვათა შორის, გოგონათა ანსამბლის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი.

ქეთი კვირკველია „გორდელაში“ მისვლამდე გურიაში, პაგარა სამუსიკო გუნდში მღეროდა და უკრავდა. ასევე მისი დაც, რომელიც ახლა „გორდელას“ შვილობილ გოგონათა ანსამბლ „უნივერისტეტშია“. გორდელაში მღერიან დები ქირიებიც.

„მარტო უნივერისტეტში კი არა, უკვე მის გარეთაც გვცნობენ ხანდახან“. - მეუბნება თამუნა ალადაშვილი. „ამ დღეებში კაფეში რომ შევედით, მაშინაც გვიცნეს, გორდელას გოგოები არა ხართო?“ გორდელას წევრები არიან ნათია ხმალაძე, ნინო აბულაძე, ნატალია ბაბაშვილიც – თსუ კურსადმთავრებულები ან დღევანდელი სტუდენტები. ყველაზე „მომღერალი“ ფაკულტეტი ეკონომისტების აღმოჩნდა. გუნდში ერთბაშად 4 ეკონომისტი მღერის.

თსუ-ს „გორდელა-“მ თითქმის მთელი საქართველო შემოიარა. სულ მალე კი გოგონები ბათუმში მიემგზარებიან გასტროლებზე.

თსუ-ის სპორტული ღირსების დასაცავად...

9 ოქრო, 13 ვერცხლი, 9 ბრინჯაო, სულ 31 ჯილდო გუნდურ და ინდივიდუალურ პირველობებში – ასეთია 2011 წლის ივნისისთვის “უნივერსიადა 2011”–ში თსუ-ელების მონაგარი. დღეისთვის უნივერსიტეტს სპორტის თითქმის 15-მდე სახეობის წარმომადგენლები ჰყავს. თსუ-ში სტუდენტების წარმატება, საქართველოსა თუ საერთაშორისო სპორტულ არენებზე, დიდი ხანია აღარ უკვირთ. თუმცა, როგორც უნივერსიტეტელები ამბობენ, მათთვის ასევე საპატიოა ქვეყნის შიგნით, უმაღლეს სასწავლებლების შეჯიბრებებში მონაწილეობა. აქ ისინი თსუ-ს ღირსების დასაცავად იბრძვიან და, უკვე წლებია, ამას წარმატებით ახერხებენ. გამონაკლისი ამ მხრივ არც გასული თვე ყოფილა:

მკლავჭიდის ტურნირში გამარჯვებული თსუ-ს გუნდი

4 ივნისს დასრულდა „უნიბურთი 2011“. მასში საქართველოს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი იღებდა მონაწილეობას. ფინალურ შეხვედრაზე თსუ სტუ-ს დაუპირისპირდა და 8-7 გაიმარჯვა. უნიბურთის ტურნირის ბომბარდირი გახდა თსუ-ის სტუდენტი ირაკლი თოდუა, ხოლო საუკეთესო მეკარე - ასევე თსუ-ს გუნდის წევრი კობა ნიჟარაძე.

უნიბურთის ტურნირის ბომბარდირი **ირაკლი თოდუა** თსუ-ს ზუსტი სამეცნიერო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტია. ფეხბურთს ბავშვობიდან თამაშობს, მაგრამ ერთწლიანი ტრამვის გამო პროფესიონალურ დონეზე აღარ უთამაშია. როგორც თავად ამბობს, იგი სპორტსკოლაში იზრდებოდა და თამაშობდა “ოლიმპში”. მოგვიანებით გადავიდა “ლოკომოტივში”, ბოლოს კი, უნივერსიტეტის გუნდში მოხვედრამდე, გორის “დილაში” თამაშობდა. სწორედ ამ დამსახურებების გამო აღმოჩნდა იგი უნივერსიტეტის ფეხბურთის გუნდში, სადაც მხოლოდ საკუთარი სურვილით მოხვედრა არც ისე იოლია.

“უნივერისტეტის სახელით შეჯიბრებაზე გამოსვლა ერთგვარი პატივია. გუნდის წევრები, როდესაც შეჯიბრებაზე გავდივართ, მხოლოდ საკუთარ სახელზე ნამდვილად არ ვფიქრობთ. ვცდილობთ, უნივერსიტეტი ვასახელოთ. საუკეთესო ბომბარდირად არჩევა ჩემთვის ძალიან დიდი პატივია. ყველანაირად ვცდილობდი გუნდს დავხმარებოდი, მარტო საკუთარ თავზე არ ვფიქრობდი და საბოლოოდ გავხდი ბომბარდირი. მომავალში, რა თქმა უნდა, ვაპირებ სწავლის გაგრძელებას, მაგრამ, პირველ რიგში, მინდა ბოლომდე გამოვცადო საკუთარი თავი სპორტში,” – ამბოს ირაკლი თოდუა.

ცოტა ხნის წინ უნივერსიტეტელებმა ასევე წარმატებას მიაღწიეს უნივერსიადა 2011-ის მკლავჭიდის ტურნირში, სადაც საქართველოს 28 უმაღლესი სასწავლებელი იღებდა მონაწილეობას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი პირველ ადგილზე გავიდა; მეორე საპატიო ადგილი აგრარულ უნივერსიტეტს, მესამე კი ილიაუნის ერგო. თსუ-მ მოიპოვა 5 ოქროს, 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი. ოქროს მედალოსნები გახდნენ ნიკოლოზ წერეთელი (ორი ოქროს მედალი მიღო მარჯვენა და მარცხენა ხელით მკლავჭიდში), თორნიკე სიმონია, ვანო ხარებაშვილი, ლაშა დორეული, ვერცხლის მედალი მოიპოვა ლაშა დორეულმა და გიორგი ჯუელმა, ბრინჯაოს მედალი აიღო ასევე ვანო ხარებაშვილმა მარცხენა ხელით მკლავჭიდში. ნიკოლოზ წერეთელი - მკლავჭიდში ოქროს მედალოსანი.

პირველკურსელი **ნიკოლოზ წერეთლის** თქმით, უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი მან მშობლების რჩევით შეარჩია. გული ყოველთვის სწავლაზე მეტად – სპორიტსკენ მიუწევდა. თსუ-ში მას ორივეს შეთავზების უნიკალური შანსი მიეცა:

“ვვარჯიშობ უნივერსიტეტის ნაკრებში, როლის მწვრთნელიც არის ერეკლე გურჩიანი. ძალიან შრომატევადი სპორტია. მთელ დღეს ვარჯიშს ვანდომებ. სიმართლე გითხრათ, ჯერ სპორტს ვაყენებ და შემდეგ სწავლას. ამის კვალობაზე მაინც კარგად ვსწავლობ. სხვათა შორის, სტუდენტებშიც ის უფრო დაფასებულია, ვინც კარგად სწავლობს. საქართველოში მაინც სწავლის კულტია,” - ამბობს ოქროსმედალოსანი მკლავჭიდელი. აქვე იმასაც აღიარებს, რომ ცხოვრებაში, როდესაც სპორტი და სწავლა ერთმანეთს გადაკავეთს, უფრო მნიშვნელოვანი პროფესია იქნება. ამიტომ კარგ სპორტსმენობასთან ერთად, კარგ იურისტობასაც აპირებს.

ცოტა რამ ისტორიიდან

სპორტული ცხოვრება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მისი დაარსების პერიოდს უკავშირდება. პირველი სპორტული სახეობა, სატანვარჯიში სპორტული საზოგადოება “შევარდენი” უნივერისტეტში ჯერ კიდევ 1918 წელს შეიქმნა. იგი აერთიანებდა მძლეოსნობის, ძალოსნობის, ფარიკაობის, ჩოგბურთის, სროლის სექციებს. ამას მოჰყვა ჭადრაკი, ალპინიზმი, კალათბურთი, მშვილდოსნობა და ა.შ.

1952 წელი ჰელსინკის მე-15 ოლიმპიური თამაშებიდან დაწყებული დღემდე უნივერსიტეტის სტუდენტები ყველა ოლიმპიურ თუ მსოფლიო ჩემპიონატებში იღებენ მონაწილეობას და საკმაოდ დიდ წარმატებებსაც აღწევენ. თვლა საკმაოდ სარისკო საქმეა – უნივერსიტეტელი მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონების სია ძალზე გრძელია. მაგალითისთვის სულ რამდენიმე გვარის დასახელებაც საკმარისია: თსუ-ში სწავლობდნენ ფეხბურთელები მიშა მესხი, სლავა მეტრეველი, ილია დათუნაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, ჩოგბურთელი ალიკა მეტრეველი. მოჭადრაკეები: ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, გია გიორგაძე, მაია ღომინეიშვილი, ნინო ხურციძე, ნანა ძაგნიძე, შავლაყაძე; ასევე სანეევი (მძლეოსნობა), ასათიანი (ფარიკაობა), ქორიძე (კლასიკური ჭიდაობა) ლევან თედიაშვილი, კურტანიძე და ხაბელოვი (თავისუფალი ჭიდაობა), ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), ხუბულური და ზვიადაური (ძიუდო), დერიუგინი (კალათბურთი), გიორგი ასანიძე (ძალოსნობა) და სხვები და სხვები.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ-ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge